ანგარიშის განხილვის შემდეგ იწყებენ პარტჯგუფორგის, ხოლო უფრო მსხვილ ჯგუფებში — აგრეთვე მისი მოადგილის არჩევნებს. მათ ირჩევენ ერთი წლის ვადით პარტიაში ყოფნის მინიმალურ ტაკუნ წესდება (მათთვის არ ითვალისწინებს ჯგუფორგი და მისი მოადგილე შეიძლებ არჩეულ იქნან ღია კენჭისყრით. ხოლო თუ კომუნისტები მოითხოვენ, რომ არჩევნები მოეწყოს დაფარული (ფარული) კენჭისყრით, მაშინ ჯგუფებში, რომლებშიც პარტიის ათზე მეტი წევრი ითვლება, ირჩევენ დამთვლელ კომისიას. იქ, სადაც პარტიის წევრები ნაკლებია, კენჭისყრის შედეგების დათვლას ანდობენ კრების თავმჯდომარეს ან ერთ-ერთ კომუნისტს. როცა დახურული კენჭისყრით ირჩევენ პარტჯგუფორგსაც და მის მოადგილესაც, კენჭისყრა ეწყობა ორი ცალკეული სიით.

საანგარიშო-საარჩევნო კრების ოქმს ადგენ — ჯგუფორგი ან ამ მიზნით არჩეული პარტიის წევრი. ოქმში ფიქსირდებიან ყველა შეკვეთა, კრების ჩატარების ადგილი, ოქმს ხელს აწერენ ორგანიზაციის ბიუროს ან ბიუროს მდივანი, ოქმი ეგზავნება ოლქის, ქალაქის, ან ოლქის ტერიტორიის, ოლქის, ქალაქის, ან ოლქის ტერიტორიის ბიუროს.

რაოდენ უნდა ეკისროთ ჯგუფებს ამბის შესახებ, რომ პარტიის ყველა წევრს პარტორგანიზაციის არჩევნებისას აანდიდატებისათვის აცილების მიცემისა და ამ უანასკნელთა კრიტიკის განსახილველად, რელი უფლება აქვს?

ეს დებულება პარტიული ცხოვრების ერთ-ერთი დადმნიშვნელოვანი ნორმაა, რომლის ბუსტად დაცვა საშუალებას იძლევა რაც შეიძლება სრულად გავითვალისწინოთ კომუნისტების აზრი, უზრუნველვყოთ პარტიულ ორგანოს ახალ შემადგენლობაში დასაბელებულ კანდიდატურათა, მათი ღირსება-ნაკლოვანების ანალიზი და ყოველმხრივი განხილვა, დაბურული (ფარული) კენჭისყრისათვის ხაში დაგტოვოთ მხოლოდ ისინი, ვინც თავისი პოლიტიკური, საქმიანი და მორალური თვისებებით ღირსია მაღალი პატივისა არჩეულ იქნას ხელმძღვანელ პარტიულ ორგანოში. ეს დებულება ნიშნავს, რომ კანდიდატურათა განხილვისას კრების მონაწილეს, კონფერენციის დელეგატს შეუძლია აცილება მისცეს და გააკრიტიკოს თვითეული კანდიდატი. კრება, კონფერენცია მოწოდებულია უურადღებით მოისმინოს აცილების მოტივები, კრიტიკა კანდიდატების მიმართ, რათა საფუძვლიანად აწონ-დაწონოს ისინი და მიიღოს სწორი გადაწყვეტილება.

მაგრამ აქედან სულაც არ გამომდინარეობს, რომ თვითეული კანდიდატურის განხილვა შეიძლება დაფარულად, ლიე წარმოებდეს. ინსტრუქციაში „ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების არჩევნების ჩატარების შესახებ“ ნათქვამია: „თუ შემოვიდა წინადადება ამა თუ იმ კანდიდატურის განხილვის შეწყვეტის შესახებ, კრება, კონფერენცია, ყრილობა ღია კენჭისყრით წყვეტს საკითხს — შეწყდეს თუ გაგრძელდეს „განხილვა“.

იქვე აღნიშნულია: „იმ კანდიდატურათა განხილვის შემდეგ, რომლებზეც აცილება შემოვიდა, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ღია კენჭისყრით უნდა გადაწყდეს ის საკითხი. შეტანილ იქნას თუ არ იქნას შეტანილი მოცემული კანდიდატურა სიაში ფარული კენჭისყრისათვის. კანდიდატურები, რომელთა წინააღმდეგ აცილება არ შემოსულა, ღია კენჭისყრისთვის არ დაიხმეება და ისინი შაქვთ სიაში არჩევნების ჩასატარებლად დაბურული (ფარული) კენჭისყრით“.

ᲫᲣᲠ. „ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲜᲐᲘᲐ ᲪᲘᲪᲜᲘ“. № 14.



ᲥᲝᲜᲣᲚᲘᲡᲘ რაიონის სოფელ ციხისძირის კოლმეურნეი ბ. ხ. მეცხოველეობის ფერმის ზოოტექნიკოსი ჯიაც თხელიანი ათვალიერებს საკვები ბოგრის მოსავალს.

ფოტო ი. ნანეიკაშვილისა. (საქდისის ფოტოკორესპ.).

ᲑᲠᲫᲝᲚᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲐᲛᲮ. Გ. Ნ. ᲒᲣᲐᲩᲘᲫᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲬᲔᲡᲘᲗ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲯᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲞᲠᲔᲛᲘᲐᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲣᲠᲐᲨᲘ.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡᲔᲑᲘᲡ ᲤᲣᲠᲪᲚᲔᲑᲖᲔ

გაერთიანებული ნომერი მოგვითხრობს...

ᲒᲣᲨᲘᲜ „მოლოდინი გრუზიის“ მკითხველებმა ამ გაზეთის უჩვეულო ნომერი მიიღეს. იგი მოამზადეს საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთის სამმა ახალგაზრდულმა გაზეთმა და ამიერკავკასიის ყოფილ-დროშოვანი სამხედრო ოლქის გაზეთმა. ამიტომაც ამშვენებს ნომერს ამ ოთხივე ორგანოს სახელწოდება და ჭაბ ხელს აწერენ მათი რედაქტორები.

როგორ იბრძვიან სამი მოძმე რესპუბლიკის ახალგაზრდობა, ამიერკავკასიის ფოთლ-დროშოვანი სამხედრო ოლქის მეომრები პარტიის XXIV ყრილობის წინააწარგანზრახულობათა განხორციელებისათვის, როგორ ასრულებენ ისინი სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას „სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“ — აი რაზე მოგვითხრობს ეს გაერთიანებული გამოშვება.

„ყველასი და თვითეულის საქმე“ — ასეთი სათაური აქვს მოწინავე წერილს. მასში ნათქვამია: „გაზეთის ამ ნომერს წაიკითხავს ახალგაზრდა ინჟინერი და კომკავშირელი — კოლმეურნე, მუშა და ჯარისკაცი. მაგრამ ვინც უნდა იყო შენ, ოვიოფასო მკითხველო, იცი, რომ ჩვენ გვაერთიანებს ერთი საქმე—კომუნიზმის მშენებლობა. ჩვენ გვაერთიანებს ლენინური იდეებისადმი ერთგული ერთგულება, მისწრაფება ბედნიერთა და ეიშრომთ ილიჩისებურად. მაზნებარე ინტერნაციონალიზმი და საბჭოთა ხალხების დიადი ძმობა“...

ამწერგილი „ხუთწლედს — ახალგაზრდათა დამკვრელური ძალა“ ეწერება ორი ცალკეული სიით.

საანგარიშო-საარჩევნო კრების ოქმს ადგენ — ჯგუფორგი ან ამ მიზნით არჩეული პარტიის წევრი. ოქმში ფიქსირდებიან ყველა შეკვეთა, კრების ჩატარების ადგილი, ოქმს ხელს აწერენ ორგანიზაციის ბიუროს ან ბიუროს მდივანი, ოქმი ეგზავნება ოლქის, ქალაქის, ან ოლქის ტერიტორიის ბიუროს.

როგორ უნდა გავიგოთ ᲒᲠᲣᲖᲘᲜᲘᲡ ᲓᲐᲒᲔᲣᲚᲔᲑᲐ ᲘᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ, ᲠᲝᲛ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲬᲔᲕᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡᲐᲡ ᲐᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲪᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲪᲔᲛᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲛ ᲨᲔᲣᲐᲠᲚᲘᲡ ᲐᲜᲐᲚᲘᲖᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲒᲐᲜᲘᲮᲘᲚᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲡ ᲓᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲐᲥᲕᲡ?

ეს დებულება პარტიული ცხოვრების ერთ-ერთი დადმნიშვნელოვანი ნორმაა, რომლის ბუსტად დაცვა საშუალებას იძლევა რაც შეიძლება სრულად გავითვალისწინოთ კომუნისტების აზრი, უზრუნველვყოთ პარტიულ ორგანოს ახალ შემადგენლობაში დასაბელებულ კანდიდატურათა, მათი ღირსება-ნაკლოვანების ანალიზი და ყოველმხრივი განხილვა, დაბურული (ფარული) კენჭისყრისათვის ხაში დაგტო

მსოფლიო დღეს

მცირედი

● პრაღაში გაიხსნა ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი. მოხსენება „პარტიისა და საზოგადოებაში ჩიხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის XIV კონგრესის გადწყვეტილებათა შესრულება, პარტიის ამოცანები არჩევნებისათვის მზადების პერიოდში, პარტიული რიგების ფორმირების შემდგომი ამოცანები“ გააკეთა ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა გ. ჰუსაკმა.

● გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრმა გამოსცა ბრძანება, რომლის თანახმადაც დასავლეთ გერმანიის ხმამაღლა-საზღვაო ძალების ზომალდები ამიერიდან ზღვიდან ზღვაზე ხალუტს მისცემენ ვერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისაკენ ალმით მოცურავე ზომალდებსა და საჰაერო ბომბებს.

● ვენესუელის ლარის შტატის დაახლოებით 200 ოჯახმა ხელი იგდო მიწები, რომლებიც ამერიკის „ვენეზუელა ტრედინგ კომპანიას“ კომპანიას ეკუთვნოდა.

● ამერიკის საწინააღმდეგო მასობრივი დემონსტრაცია გაიმართა სამხრეთ ვიეტნამის ქალაქ პიუეში. დემონსტრანტებმა ნაიარეს ქალაქის ქუჩებში. მოითხოვდნენ ვიეტნამიდან ამერიკის ჯარების დაუყოვნებლივ გაყვანას. ამ გამოსვლის საბაბი იყო ის, რომ ამერიკელმა ჯარისკაცმა მოკლა 12 წლის ვიეტნამელი ბავშვი. დემონსტრანტებმა დაწვეს ამერიკის სამხედრო პოლიციის ავტომანქანა. რომელიც ქალაქში პატრულობდა.

● ნაკრმოვადგენელ თა ბალატის წევრმა ნიუ-იორკის შტატისაგან ლ. ვოლფმა მოითხოვა გამოიწვიონ ამერიკის სპიონელი ელჩი ბანკერი ვოლფმა აღნიშნა, რომ ბანკერი შეტანსმეტად დაუახლოდა სამხრეთ ვიეტნამის ანალანდელ „პრეზიდენტ ს“ თხიუს და ყოველნაირად უჭერს მხარს ამ ბეჭი ერთ ნოდებული „არჩევნების“ მზადების მსვლელობაში.

● დაახლოებით 250 ზანგი დაიპატიმრეს ალაბამის შტატის ქალაქ ბატლერში. თითქმის 200 კაცი საპყრობილეში ჩასვეს. პოლიციის რეპრესიის საბაბი გახდა ზანგთა „ადგილობრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელთა განზრახვა, რომ მოეწყოთ საპროტესტო მიტინგი 19 წლის ზანგი ქალიშვილის მარგარეტ ნოტის ტრაგიკულ დაფუძავასთან დაკავშირებით. „ბასულ შაბათს ეს ქალიშვილი ერთ-ერთი ადგილობრივი რასისტის მანქანამ გაიტანა.

● ინლანდიაში თავს დაესხნენ პაკისტანის ერთ-ერთ პასუხისმგებელ მოხელეს — პროეზიდენტის მრჩეველს ზ. ჰამადს. იგი რამდენიმე ადგილას დანით მძიმედ დაჭრეს. თავდამსხმელ ებ ი დაპატიმრებული არიან.

ხაკლეს-შრანს პრესი.

ფაქტები

ქაბული

ეუკრაინის ცენტრში

16 სექტემბერი. (საკლესი). ავღანეთის „ანისი“ ხაბჭოთა კავშირში ავღანეთის შეფის ბუჰამედ ზაჰირ შაჰის შეგობრული ვიზიტის კომენტარში წერს, რომ ავღანეთ-საბჭოთა კავშირის კეთილი ურთიერთობა ეუწყობს ორივე ქვეყნის მიზწრაფებას საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებისადმი.

გაზეთი აღნიშნავს, რომ ამ ურთიერთობას საფუძველი ჩაეყარა საბჭოთა კავშირისა და ავღანეთის 1921 წლის შეგობრობის ხელშეკრულებითა და 1931 წლის ნეიტრალიტეტისა და ერთიერთთანდაუსხმელობის ხელშეკრულების დადებით.

ავღანეთის საგარეო პოლიტიკა, წერს „ანისი“, მიზნად ისახავს მშვიდობიან, თანაარსებობასა და გულწრფელი მეგობრობის დამყარებას ყველა ქვეყანასთან და განსაკუთრებით შეზობლებთან ნეიტრალიტეტი-ხა და თავისუფალი მსკელობის, ურთიერთპატივისცემისა და ხამხეერო ბლოკებისადმი მიუმხრობლობის საფუძველზე.

„ავღანეთი, რომელმაც მოიპოვა დამოუკიდებლობა და ტერიტორიული მთელიანობა, ტრიბიუნად უჭერს მხარს აფრიკის, აზიისა და ლატინური ამერიკის ხალხთა ეროვნებებს, დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას“, ნათქვამია სტატიაში.

ვაშინგტონი

საზოგადოებრიობის ზეგავლენით

16 სექტემბერი (საკლესი). 1950 წლიდან შეერთებულ შტატებში მოქმედებს კანონი. რომელიც ითვალისწინებს ხაკონცენტრაციო ბანაკების შექმნას ომის ან „შინაური უწესრიგობის“ წარმოქმნის შემთხვევაში.

ამერიკის შეერთებულ შტატებში გაიხარებული ანტიკომუნისტური ისტერიის დროს მიღებული ეს კანონი საზოგადოებრიობისა და პრესის ზოგიერთი ორგანოს მწვავე კრიტიკას ობიექტია.

500-ზე მეტმა სხვადასხვა საზოგადოებრიებმა და პოლიტიკურმა ორგანიზაციამ მოითხოვა მისი გაუქმება და აღნიშნა, რომ ეს კანონი რეპრესიების საფრთხის უქმნის ზანგთა მოქალაქეობრივი თანასწორფლებიანობისათვის მებრძოლებსა და „სხვაგვარად მოაზროვნე“ ამერიკელებს, რომლებიც არ ეთანხმებიან მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკას.

საზოგადოებრიობის ზეგავლენით ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესმა წარმომადგენელთა პალატა იძულებული გახდა დაეთმო. კონში წარმომადგენელთა პალატამ ხმა მისცა იმას, რომ გაუქმდეს 1950 წლის კანონი. მაგრამ ორი დღის ეხარე კამათის დროს, როდ. კენჭისყრას ეძღვნებ წინ, მთელი რიგი კონგრესმენების გამოსვლებში გაისმა მაკარტიზმის შავებნელი ეროს გამოძახილი.

წარმომადგენლობა პალატაში კენჭისყრა სრულებით არ ნიშნავს ყმაღაღიებული კანონის გაუქმებას. პალატის გადწყვეტილება უნდა დამტკიცოს სენატმა. შემდეგ კი პრეზიდენტმა. ამერიკის შეერთებული შტატების საზოგადოებრიობა სრამს კითხვას: კიდევ რამდენი ხანი ექნებ, სანამ ამ სამარცხვინო კანონს ამოიღებენ ამერიკის კანონმდებლობიდან?

ბონი

„მკვეთრი შეტაკება“

16 სექტემბერი. (საკლესი). „საბრეო ციებ-ცხელების“ ნამდვილი შეტევა დაიწყო დასავლეთ გერმანიის სავალუტო ბირჟაზე მას შემდეგ, რაც დამთავრდა „საერთო ბაზრის“ წევრი ქვეყნების ფინანსთა მინისტრების ბრიუსელის თათბირი.

ეუნინარეს ყოველსა ძლიერი ფინანსური ინ ი ფ ი ნ ა ნ ს ი ა ა ბ ი ბ ა ბ ა ბ ა

მდერიან ბერიკაცები

რომელ ჩვენგანს არა სურს გაეცნოს იმათ, ვისაც მხრებზე საუკუნე აწევს, გაიგოს მათგან დღეგრძელობის საიდუმლოება, მიიღოს „ახალგაზრდობის ელექსირის“ რეცეპტი! მაგრამ უპირველესად ყოვლისა ვინ შეიძლება ჩაითვალოს დღეგრძელად, თუ 50 წლის წინათ 60 წელს მიღწეული ადამიანი მოხუცებულად ითვლებოდა. საბჭოთა კავშირში მკვეთრად გაიზარდა სიცოცხლის ხანგრძლივობა. ახლა დღეგრძელად შეიძლება ჩაითვალოს 80 წლის მოხუცი.

საქართველო ჯანთქმულია მრავალწლოვანი ადამიანებით. რომელთა რიცხვი 60 ათასს აღწევს. მათ შორის 2 ათასი ასწლოვანი მოხუცია. განსაკუთრებით ბევრი დღეგრძელი ცხოვრობს აფხაზეთის შავიზღვისპირა სანატორიუმებში.

აი ერთ-ერთი მათგანი — ბუდაუთის რაიონის სოფელ ლურიფშის კოლმეურნე მანტი ტარკილი, მხნე და მთიული კაცისათვის დამახასიათებელი სიმსუბუქით ჩამოდის თავისი სახლის მეორე სართულიდან. განა შეიძლება ის 106 წლისად ჩათვალოთ! იგი ტოლს არ უდებს შვილებსა და შვილიშვილებს და მათთან ერთად კოლმეურნეობაში შრომობს. მონაწილეობს ასწლოვან აფხაზთა თვითმოქმედ გუნდში. მ. ტარკილს მეტყველება მკაფიო და დამახასიათებელი აქვს. მისი თანასოფლელები კი — სოციალისტური შრომის გმირები 92 წლის მურან თარბა, 100 წლის თემურ თარბა და მათი „ახალგაზრდა“ კოლეგა 70 წლის კასტეი ტანია ასლაც თავდადებული შრომის მაგალითს იძლევიან. მათ შესანიშნავი სიმინდი, ხილი და ციტრუსები მოჰყავთ.

მეზობელ სოფელ ლიხნში ცხოვრობენ და შრომობენ ასი წლის შუგ ლაკოია, თემურ ვანაჩა, მადან საკანია... თავისუფალი და სახალისო შრომა, უწრუნველყოფილი ოჯახი, მრავალფეროვანი საჭმელი და სუფთა ჰაერზე დასვენება, აქტიური მონაწილეობა კოლექტივის ცხოვრებაში — ეს გახლავთ „ახალგაზრდობის ელექსირის“ რეცეპტი.

ხურათებზე: ზემოთ მარცხნივ — გუდაუთის რაიონის სოფლების დურიფშისა და ლიხნის უხუცესები (მარცხნიდან მარჯვნივ) დავთა აიბა, სოციალისტური შრომის გმირი თემურ თარბა, ხიგუ გუმბა, შუგ ლაკოია, მახტი ტარკილი, მადან საკანია, თემურ ვანაჩა, მახან შულუმბა, ჩუგი ტვამბა, სოციალისტური შრომის გმირები მურან თარბა და კასტეი ტანია; ზემოთ მარჯვნივ — უხუცესთა ანსამბლი მორიგი კონცერტით გამოდის; ქვემოთ მარცხნივ ორი ძველი მეგობარი თემურ ვანაჩა და რიგუ გუმბა შეხვდნენ ერთმანეთს; ქვემოთ მარჯვნივ — სოფელ დურიფშის კოლმეურნეობის ვეტერანი, სოციალისტური შრომის გმირები (მარცხნიდან). კასტეი ტანია, მურან თარბა და თემურ თარბა.

ტექსტი ა. ბიბანასისა, ფოტო ბ. კიკვაძისა. (საქდგისის ფოტოქრონიკა).

საკავშირო — საჭადრაკო ერთვნული ტურნირი

რ. ჯინჯიხაშვილი — ფინალში

ლენინგრადი. („კომუნისტის“ კორ.). საკავშირო 39-ე ჩემპიონატის კენჭისყრის შემდეგ მხატვთა კოლეგიამ კიდევ ერთი გადაწყვეტილება მიიღო. ფინალში დაშვებულია საერთაშორისო ოსტატი რ. ჯინჯიხაშვილი (თბილისი). მას ხატურნირო ცხრილში 22-ე ნომერი მიეკუთვნა. ეს ნიჭიერი თბილისელი ოსტატის პირველი გამოსვლაა საკავშირო ჩემპიონატის ფინალში. წელს ჩემპიონატის ნახევარფინალში რ. ჯინჯიხაშვილმა მესამე-მეოთხე ადგილები გაიყო და კოეფიციენტების ცხრილში უარესი მაჩვენებლების გამო აქამდე მხოლოდ ფინალში მონაწილეობის კანდიდატთა შორის ითვლებოდა.

ამრიგად, ფინალის მონაწილეთა რიცხვი 22-მდე გაიზარდა. პირველი ტურიდან გამოტოვებულ პარტიას კიეველ გროსმაისტერ ი. პლატონოვთან რ. ჯინჯიხაშვილი მოგვიანებით ითამაშებს.

ხომ უამრავი ტურნირი ეწყობა წლის განმავლობაში იუგოსლავიაში, ჰოლანდიაში, არგენტინასა და სხვა „საჭადრაკო“ ქვეყნებში. მაგრამ ვერც ერთი მათგანი, თვით უძლიერესი საერთაშორისო ტურნირიც კი თავისი შემადგენლობით ვერ შეედრება „საბჭოთა კავშირის ჩემპიონატს“. მასში ხომ 15 უძლიერესი გროსმაისტერი მონაწილეობს.

უკვე პირველმა ტურმა მოულოდნელი შედეგები მოიტანა. ახალგაზრდა მინსკელმა ოსტატმა ა. კაენგუტმა (გამოჩენილ თეორეტიკოს გროსმაისტერ ი. ბოლესლავსკის მოწაფემ) დაამარცხა შარშანდელი ჩემპიონატის მეორე პრიზიორი, გროსმაისტერი ვ. ტუკმაკოვი (ოდესა), გროსმაისტერმა ლ. შტეინმა (კიევი) მოუგო გროსმაისტერ ლ. პოლუგაევსკის (მოსკოვი), მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ვ. სმისლოვი უაიმზე შეუთანხმდა ახალგაზრდა გროსმაისტერ ი. ბალაშოვს (ორივე მოსკოვიდან), მსოფლიოს ექს-ჩემპიონი მ. ტალი (რიგა) ანეთასვე შედეგს დასჯერდა თეთრებით - მოთამაშე საერთაშორისო ოსტატ ვ. სავონთან (ხარკოვი), აგრეთვე მოსკოვის ჩემპიონი, გროსმაისტერი ა. ლევინი— ახალგაზრდა ერევანელ ოსტატ ქ. გრიგორიანთან.

დანარჩენი პარტიები გადაიდო.

მეორე ტურში რ. ჯინჯიხაშვილი სარატოველ გროსმაისტერ ნ. კროგიუსს ეთამაშება.

ბ. სპასკის აზრით

ბუდაპეშტის გაზეთმა „მადიარ ნემზეტმა“ გამოაქვეყნა თავისი კორესპონდენტის საუბარი მსოფლიოს ჩემპიონ ბ. სპასკისთან. კორესპონდენტი სპასკის ეწვია შვეიცარიაში მისი ამასწინანდელი ყოფნის დროს.

ბ. სპასკის ადრე მიაჩნდა, რომ მისი მომავალი მეტოქე რ. ფიშერი იქნებოდა. ეს აზრი მან გამოიტანა მას შემდეგ, რაც ტ. პეტროსიანმა შემოქმედებითი თვალსაზრისით ცუდად წარმართა მატჩი რ. ჰიუბნერთან. შემდეგში, როდესაც ტ. პეტროსიანმა შესაძლებლობა დაკარგა ჩემპიონატის მეორე პრიზიორი, ბ. სპასკი ფიშერს ეწვია ბუენოს-აიროსში. ბ. სპასკი ფიშერს ეუბნებოდა, ეს ბიჭი ალბათ ბევრ ფიქრობს, ალბათ ბევრ ფიქრობს, ალბათ ბევრ ფიქრობს.

„ტ. პეტროსიანს ჩინებული შანსები აქვს მოუგოს რ. ფიშერს და ითამაშოს მატჩი მსოფლიოს პირველობაზე. მე კი ჩემთვის უფრო საინტერესოდ მიმაჩნია რ. ფიშერთან შეხვედრა“.

ბ. სპასკიმ ილაპარაკა თავის ადრინდელ შეხვედრებზე რ. ფიშერსა და ტ. პეტროსიანთან, აგრეთვე „საუკუნის მატჩზე“, სადაც ტ. პეტროსიანმა 4 პარტია ითამაშა რ. ფიშერთან. ბ. სპასკიმ მაღალი შეფასება მისცა ორივე მეტოქეს. მან აღნიშნა რ. ფიშერის დიდი ნიჭი და ტ. პეტროსიანის ნატიფი ხელოვნება.

ფესტივალი „საქართველო-50“

თბილისი საკავშირო საჭადრაკო-საშაშო ფესტივალი მეტად საინტერესო გამოდგა. ამჟამად 250 მოჭადრაკის ბრძოლა გადამწყვეტ ფაზაში შედის.

ვაჟთა შორის ექვსი ტურის შემდეგ ყველა პარტია მოიგეს ოსტატებმა ჰ. კიანერმა (ტალინი) და კ. ლურნერმა (ოდესა). მართალია, ლურნერს მეექვსე ტურში საეჭვო პოზიცია ჰქონდა ჯ. ბეკრაძესთან, მაგრამ შემდეგ თბილისელი ოსტატი ძლიერ ცაიტნოტში მოხვდა და წააგო. ახლა ორ ლიდერს კვალდაკვალ მიპყვება მონაწილეთა დიდი ჯგუფი ისე რომ ძირითადი ბრძოლა ჯერ კიდევ წინ არის, ასპირანტობის დამთავრებამდე 5 ტური რჩება.

ქალთა შორის ასევე ორი ლიდერია. ექვსი თამაშიდან 5-ს ქულა აქვთ ნ. ივანოვენესა (კაუნასი) და ა. ბაკაუსოვას (სვერდლოვსკი). მეშვიდე ტურში ლიდერები ერთმანეთს ხვდებიან.

გოლო შვიდ წუთში...

ევროპის ქვეყნების თასის მფლობელთა თასის გათამაშებაში საბჭოთა კავშირიდან მონაწილეობს მოსკოვის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდი, რომელიც გუშინწინ ასპარეზობდა საბერძნეთში ამ ქვეყნის თასის მფლობელთან — ქალაქ პირეოსის გუნდ „ოლიმპიაკოსთან“. მატჩი დამთავრდა გვიან ღამით. თამაშის პირველი ნახევრის ანგარიში იყო ფრე — 0:0. როცა შეხვედრის დამთავრებას 7 წუთი აკლდა ვ. კოზლოვმა, რომელმაც ცოტა ხნით ადრე ვ. ეფტერკოვი შეცვალა, მასპინძლების კარში პირველი ბურთი გაიტანა. მასზე 4 წუთის შემდეგ მეორედ აიღო „ოლიმპიაკოსის“ კარი. ანგარიშით 2:0 გაიმარჯვეს მოსკოველებმა.

ამ გუნდების საპასუხო მატჩი გაიმართება 30 სექტემბერს მოსკოვში ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე.

მატჩი მოსკოვში

გუშინ მოსკოვში საბჭოთა კავშირის პირველობაზე ფეხბურთში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „ტორპედო“ და ლენინგრადის „ზენიტი“. მატჩი დამთავრდა ფრედ — 1:1.

მასპინძელნი გაქრ

ბაკურში დაიწყო სხრ კავშირის თასისა და საბჭოთა კავშირის გუნდური პირველობა მხატვრულ ტანვარჯიშში. აზერბაიჯანის დედაქალაქში ერთმანეთს შეეჯიბრებიან ჩვენი ქვეყნის უძლიერესი სპორტსმენი ქალები. ჩემპიონის ტიტულს ერთმანეთს შეეცილებიან რუსეთის, ბელორუსიის, უკრაინის, საქართველოს, აზერბაიჯანის, ყაზახეთის, ესტონეთის, ლატვიის, მოსკოვისა და ლენინგრადის გუნდები. ამ ასპარეზობაში გამარჯვებულნი მონაწილეობას მიიღებენ მსოფლიო ჩემპიონატში, რომელიც ოქტომბერში გაიმართება ჰავანაში.

ნაკრები ემზადება

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩთან დაკავშირებით გუშინ ბუენოს მახლობლად მდებარე ავგარაკზე შეიკრიბა საბჭოთა კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი, რომლის შემადგენლობაში არიან — მეკარეები: ვ. ბანიკოვი (მოსკოვის „ტორპედო“), ე. რუდაკოვი (კიევის „დინამო“), მცველები: რ. ძოძუაშვილი და მ. ხურცილავა (თბილისის „დინამო“), ვ. მატვიენკო და ვ. ხოსნიხინი (კიევის „დინამო“), ა. შესტერნოვი (ცსკა), ვ. ზიკოვი (მოსკოვის „დინამო“), ნახევარდაცვა: ვ. მუნტიანი და ვ. კოლოტოვი (კიევის „დინამო“), ვ. ფედოტოვი (ცსკა), ა. კონკოვი (დონეცკის „შახტიორი“), ო. დოლმატოვი (ალმა-ათის „კაირატი“), თავდასხმა: ა. კოლემაკინი და ვ. ევრიუფიხინი (მოსკოვის „დინამო“), ბ. კოპეიკინი (ცსკა), ვ. ხმელნიცკი (კიევის „დინამო“), ვ. შევჩენკო (ბაკოს „ნეფტჩი“) და ლ. იშტოიანი (ერევნის „არარატი“).

საბჭოთა კავშირის ნაკრები 22 სექტემბერს მოსკოვში ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩს გამართავს ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრებთან — ე. წ. ბესტის გუნდთან, ხოლო საპასუხო თამაში შედგება 13 ოქტომბერს ბელფასტში.

დღეს ჩვენი რესპუბლიკის რაიონებში

გარდაბანი

გვეტყობინებს ჩვენი საკუთარი კორესპონდენტი

ზ. მერკვილაძე

ახალი მოედანი, ობელისკი, მუზეუმი

დღითი დღე ლამაზდება რაიონის ცენტრი — ქალაქი გარდაბანი. კულტურისა და დასვენების პარკთან არც ისე დიდი ხანია გაკეთდა მოედანი, რომელსაც ამშვენებს ობში დაღუპულთა მოსაგონარი ობელისკი. აქვე ანთია მარადიული ცეცხლი, მოწყობილია აუზი, შადრევანი, გახსნილია მუზეუმი.

უკანასკნელი ერთი წლის მანძილზე ცენტრალური ქუჩა გაფართოდა. მის ორივე მხარეს ჩამწკრივებულია ლამაზი ლამპიონები. გაიხარეს მარადმწვანე მცენარეებმა.

ახალმოსახლეთა სიხარული

წელს 150-ზე მეტმა ოჯახმა იზეიმა ახალ ბინებში ჩასახლება. ქალაქის ცენტრში აშენდა 15 ხუთსართულიანი საცხოვრებელი სახლი კეთილმოწყობილი ეზოებით, მოედნებით, საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტებით. საცხოვრებელი სახლები აშენეს თბილისის თბოელექტროსადგურის ადმინისტრაციამ, შეუყარ-რუბეროიდის ქარხანამ და ქალაქის სხვა ორგანიზაციებმა. ბინების მშენებლობა კვლავ ფართო მასშტაბით მიმდინარეობს. სულ მალე ქალაქს კიდევ ერთი საცხოვრებელი კვარტალი შეემატება.

„საქართველო“ საზღვარგარეთ

შემოქმედა ბევრმა არც კი იცის, რომ ჩაის საკრიფი მანქანა „საქართველო“ მზადდება გარდაბნის რაიონის ლიღოს სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლო ქარხანაში.

„საქართველომ“ მსოფლიოში გაითქვა სახელი. იგი უკვე კარგახანია გახდა საექსპორტო. ამას წინათ რამდენიმე მანქანა გაიგზავნა ცეილონზე. ჩაის მწარმოებელი ქვეყნებიდან სისტემატურად მოდის წერილები. ერთნი ითხოვენ თვით მანქანებს, ხოლო მეორენი ტექნიკურ დოკუმენტაციებს.

ახალი სკოლები

გარდაბნის მეზიანეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობამ საკუთარი სახსრებით აიშენა საშუალო სკოლის შენობა. აქ წელს პირველად დაირეკა ზარი და 700-მდე მოსწავლე შეუდგა სწავლას. ახალი სასკოლო შენობები საექსპლოატაციოდ გადაეცა აგრეთვე სართულაღლისა და ახალდიდში. ამჟამად რაიონის ცენტრში კიდევ ერთი საშუალო სკოლა შენდება.

კურორტ კოჯორში

ეოველწლიურად ახობით დამსვენებელი მყავს კოჯორს. მისი კეთილმოწყობის მიზნით აქ წელს გაშენდა კულტურისა და დასვენების პარკი, გაკეთდა მოედანი. წყარო, შადრევანი, მოეწყო დღის განათება.

ხურათზე: გარდაბნის ცენტრალურ მოედანზე პიონერები ყვავილებით ამკობენ შინმოუსვლელთა ობელისკს.

„ კომუნისტის“ ინტერვიუ

ცირკის ჩირაღდნები

თბილისი სახელმწიფო ცირკი 17 სექტემბერს მიიღებს ახალი 1971-72 წლების სეზონის პირველ მაყურებელს. საცირკო პროგრამები წლევანდელ სეზონში დიდი გულისყურით იქნა შერჩეული და ეფიქრობთ მაყურებელში ჭეროვან ინტერესს გამოიწვევს. როგორია პირველი პროგრამა? თბილისში პირველად ატრაქციონით გამოდიან ნადეიდა და მარინე მაიაცკები, მეტად საინტერესო ახალგაზრდა კლოუნი-პაროდისტები ხლოპინი და დერიაბკინი, ბატუტის ჯგუფი იაკოს ხელმძღვანელობით, ეკვილიბრისტები რუსეთის სფსრ დამსახურებული არტისტის მიხეილ ეგოროვის ხელმძღვანელობით. პირველ პროგრამას შეაცვლის ერთ-ერთი მეტად საინტერესო საცირკო კოლექტივი, რომელმაც სახელი გაითქვა. ეს არის ახალგაზრდათა კოლექტივი „აოისკ“.

ცირკის ხელოვნება მეტად საყვარელი ყანრია ბავშვებისათვის. საახალწლო არდადეგებზე, საზღვარგარეთ გასტროლების შემდეგ ჩვენს ცირკს ეწვევა ემილ კიო. ეს არც უფროსი თაობისათვის არის ინტერესს მოკლებული. ემილ კიოს ატრაქციონი ამჟამად საკავშირო ცირკების გაერთიანებაში ყველაზე დიდი შეფასებით სარგებლობს.

წლევანდელ სეზონში ცირკის მთელ რიგ სახელმოხვეჭილ მსახიობებს იხილავს თბილისის მაყურებელი. სეზონის დამთავრება მიეძღვნება ხალხთა მეგობრობას. ჩვენი სტუმრები იქნებიან უნგრეთის, ბულგარეთის, რუმინეთის, საფრანგეთის, მონღოლეთის, იაპონიის, ინგლისის, გერმანიის საცირკო ხელოვნების ოსტატები.

თბილისის ცირკის ხელმძღვანელობას განზრახული აქვს შეფობა აიღოს მთელ რიგ მოწინავე კოლმეურნეობებზე და მოემსახუროს მათ.

თბილისის ცირკის შენობაში კაპიტალური რემონტი გაკეთდა. მთელი რიგი სამუშაოები ისეთი პროფილით შესრულდა, რაც გათვალისწინებული იყო მაყურებლის უკეთ მომსახურებისათვის.

ი. გვინჩიძე,
თბილისის სახელმწიფო ცირკის დირექტორი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.

ჩვენი მუსიკალური კაფიჩა

დიდი ორკესტრი გასტროლებზე

თბილისში საგასტროლოდ ჩამოვიდა ცენტრალური რადიოსა და ტელევიზიის დიდი ორკესტრი, რომლის მხატვრული ხელმძღვანელი და მთავარი დირიჟორია რუსეთის სფსრ სახალხო არტისტი, ლენინური პრემიის ლაურეატი **გენადი როჟდესტვენსკი.**

ორკესტრთან ერთად გასტროლებზე არიან ესტონეთის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, დირიჟორი **ნეემე იარვი,** უკრაინის რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი **ოლეგ კრისა** და საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი **ვიკტორია პოსტნიკოვა.**

ცენტრალური რადიოსა და ტელევიზიის დიდი სიმფონიური ორკესტრის გასტროლები მნიშვნელოვანი მოვლენაა თბილისის მუსიკალურ ცხოვრებაში. ორკესტრს არაერთხელ შეუსრულებია ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებები, იგი ქართული მუსიკის ერთ-ერთი პოპულარიზატორია. ორკესტრის პროგრამაშია ჩაიკოვსკის, ბერლიოზის ნაწარმოებები. ორკესტრი თბილისში შეასრულებს კომპოზიტორ ო. თაქთაქიშვილის ორატორიას „ნიკოლოზ ბარათაშვილს“, რომელსაც თვით მხატვრული ხელმძღვანელი გენადი როჟდესტვენსკი უდირიჟორებს.

ორკესტრთან ერთად საგასტროლოდ ჩამოვიდა ცენტრალური რადიოსა და ტელევიზიის სიმღერანი კვარტეტი ა. ფუტერის, ბ. ბარანოვის, ი. მილოსლავსკისა და რ. ფურერის შემადგენლობით. კვარტეტის პროგრამაშია დვორჟაკის, შოსტაკოვიჩისა და ს. ციფაკის ნაწარმოებები.

ეს ორი სახელმოხვეჭილი კოლექტივი კონცერტებს მართავს ფილარმონიის ახალ საკონცერტო დარბაზში.

სასარგებლოა ვიცოდეთ

ელექტრონიკა-მომავალ დედას

ორსულობა და მშობიარობა ბუნებრივი ბიოლოგიური პროცესია, მიუხედავად ამისა, სავსებით ჯანსაღი ქალებისთვისაც კი იგი დაკავშირებულია ორგანიზმის მნიშვნელოვან გარდაქმნასთან და დიდ ენერგეტიკულ დანახარჯებთან. გარდა ამისა, დედის მდგომარეობის ყოველი ცვლილება გავლენას ახდენს ნაყოფზე, ხოლო იგი, თავის მხრივ, „იუწყება“ თავისი განწყობის შესახებ. ამ მჭიდრო ურთიერთკავშირის დარღვევამ შეიძლება გამოიწვიოს ნაყოფის სხვადასხვა დაავადება.

საუკუნეთა მანძილზე ექიმი ორსულობის განვითარების შესახებ მსჯელობდა ქალის გუნებაგანწყობის, მისი სარძევე ჯირკვლების მდგომარეობისა და სხვა გარეგანი ნიშნების მიხედვით. ორსულობის მერე ნახევრიდან მეანს უკვე შეუძლია მოსმენოს ნაყოფის გულისცემა, შეიგრძნოს მისი მოძრაობანი. ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, დიდმნიშვნელოვანი ცნობებია, მაგრამ ისინი შესაძლებლობას იძლევიან გავარკვიოთ მხოლოდ მკვეთრად გამოსახული დარღვევები მომავალი ბავშვის განვითარებაში.

ჯერ კიდევ ბასული საუკუნის ბოლოს რუსმა მეცნიერმა პ. ი. კუბასოვმა პირველად სცადა გაეძლიერებინა და ჩაეწერა ნაყოფის გულისცემა. იმ წლებში აპარატურის არასრულყოფილება შესაძლებლობას არ იძლეოდა ფართოდ გამოეყენებინათ ეს სიახლე. მაგრამ იგი არ დავიწყებულა და ჩვენს დროში დასაწყისი მისცა ფონოკარდიოგრაფიას — ნაყოფის გულის მუშაობის მაჩვენებლების ობიექტურ ჩაწერას.

XX საუკუნის დამდეგს ფიზიკოსმა კრემერმა განახორციელა მომავალი ბავშვის გულის, აგრეთვე ელექტრული პოტენციალების პირველი ჩაწერა. ორსული ქალის გამოკვლევისას კრემერმა მის ელექტროკარდიოგრამაზე შეამჩნია რაღაც პატარა კბილაკები, რომლებიც უფრო ხშირი იყო, ვიდრე დედის პულსი. ასე გაჩნდა მედიცინაში ნაყოფის სიცოცხლის ობიექტური გამოკვლევის კიდევ ერთი მეთოდი — ელექტროკარდიოგრაფია. თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში ამ მეთოდმა პრაქტიკული გამოყენება ვერ ჰპოვა უმთავრესად გამძლეობელი და ჩამწერი აპარატურის არასრულყოფილების გამო. ახლა მას წარმატებით იყენებენ მეანობაში.

ნაყოფის მდგომარეობის დიდმნიშვნელოვანი მაჩვენებელია მოძრაობანი. კვეთის ან ვანგბადის ნაკლებობას იგი უპასუხებს ან მოძრაობათა სწრაფი გაძლიერებით, ან, პირიქით, მოძრაობათა თითქმის სრული შეწყვეტით. ნაყოფის მოძრაობებზე მუდმივი დაკვირვებისათვის ახლა კონსტრუირებულია მთელი რიგი მოწყობილობანი — აქტოგრაფები. ისინი მექანიკურ მოძრაობას ელექტრულ სიგნალებად გარდაქმნიან და მათ ქალაქის ლენტზე წერენ.

დაკვირვების ეს ახალი მეთოდები განსაკუთრებით ძვირფასია იმით, რომ სრულებით უვნებელია და ეხმარება თვით ნაყოფის ბუნებრივ ბიოლოგიურ სიგნალებს. განა საჭიროა იმის თქმა, რომ მათი ფართოდ გამოყენება შესაძლებელი გახდა სსრ კავშირში გამაძლიერებელი ტექნიკის განვითარებისა და დიდად მგრძნობიარე ელექტრონული ხელსაწყოების შექმნის მეოხებით. ნაყოფიდან მომდინარე ყოველი სიგნალის ჩაწერის ძირითადი სიძნელე იმაში მდგომარეობდა, რომ ისინი მეტისმეტად მცირეა. მაგალითად, ელექტროკარდიოგრამის კბილაკი — ეს ეოლტის მემილიონედი ნაწილაკებია, მაგრამ მათაც სჭირდება კიდევ „გაწმენდა“ სხვადასხვა ხელშემშლელისაგან. საჭირო გახდა ინჟინრებისა და მეცნიერი მედიკოსების დაძაბული ერთობლივი მუშაობა, რომ ელექტრო და ფონოკარდიოგრაფები გამოჩენილიყო დიდ სამშობიარო სასლებსა და სამეანო კლინიკებში.

მგრძნობიარე აპარატურა დღეს ეხმარება ექიმს ორსულობის პერიოდშიც და თვით მშობიარობის დროსაც განუწყვეტლივ უწევდეს კონტროლს ნაყოფის მოძრაობის აქტივობასაც, აღმოაჩინოს ცვლილებანი მის მდგომარეობაში და, თუ საჭიროა, სწრაფად ჩარიოს.

თუ არ ხერხდება გულის ბგერების მოსმენა ან მოძრაობის რეგისტრირება, მეანი მიმართავს ელექტრული სიგნალების ჩაწერას — ისინი იმის ობიექტური დამტკიცებელი ხდებიან, რომ ნაყოფი ცოცხალია. ელექტრონული ხელსაწყოები შესაძლებლობას იძლევიან აგრეთვე სარწმუნოდ განვსაზღვაოთ განვითარებადი ორსულობა გართულებებისა. ან სამსივნეებისაგან და, გარდა ამისა, წინასწარ დავაზუსტოთ, — ხომ არ არის დედის მუცელში ნაყოფი, როგორია მათი მდგომარეობა და მდებარეობა.

სამეანო პრაქტიკაში სულ უფრო მტკიცედ იკავებს თავის ადგილს ელექტროენცეფალოგრაფია — ნაყოფის თავის ტვინის ელექტრული პოტენციალების ჩაწერა. ასეთი გზით შესაძლებელი იქნება კონტროლი გავუწიოთ მისი ცენტრალური ნერვული სისტემის მდგომარეობას და დროულად აღმოვფხვრათ წარმოშობილი დარღვევანი.

ნაყოფის სისხლის მიმოქცევის შეფასებას ემსახურება რეოგრაფია — ნაყოფის სხეულის წინააღმდეგობის ცვლილებათა ობიექტური რეგისტრაცია საკმაოდ უვნებელი მინიატიურული ელექტროდების დახმარებით. განსაკუთრებით ძვირფასია ეს ინფორმაცია ერთ-ერთ ყველაზე პასუხსაგებ პერიოდში — მშობიარობის დროს.

ამას კიდევ უნდა დავამინოთ, რომ განსაკუთრებული ულტრაბგერითი ფეხსაწყოს გამოყენებით მეანს შეუძლია არა მარტო განსაზღვროს ნაყოფის მდგომარეობა, არამედ კიდევაც გაზომოს მისი თავის სიდიდე და დროულად გამოარკვიოს მისი შეფარდება დედის მენჯთან.

ელექტრონული ხელსაწყოები მეანთა ერთგული თანაშემწენი ხდებიან. ექიმებისა და ინჟინრების თანამშრომლობა სულ უფრო მეტად ემსახურება ჩვენს ბედნიერებას — ათასობით და ათასობით ახალშობილ საბჭოთა მოქალაქეს შესაძლებლობას აძლევს ცხოვრებაში შევიდეს მტკიცე, ჯანსაღი.

ფიზიოლოგი

ა. ნიკოლაევა.

(სანიტარული განათლების ცენტრალური სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი).

დირექტორის დაცვა

საქართველოს ზოოტექნიკურ-ვეტერინარო სასწავლო-საკვლევი ინსტიტუტი

თბილისი-კარანი, ავტობუსი № 28. 1971 წლის 29 სექტემბერს დილის 2 საათზე ინსტიტუტის საქმეთა დარბაზში ვეტერინარულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, ალექსანდრეს-ძე ჩულუკიძე დაიცავს დისერტაციის თემაზე: „ვეტერინარული ლონისძიებების შესრულება მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ბრუცელოზის ლიკვიდაციის დროს და მათი ეკონომიური ეფექტიანობა“.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში.

თეატრები

17 სექტემბერი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — მინდია (მე-16 აბონ. მე-7 წარმოდგენა); **მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური** — ხსოვნა გულისა; **ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის** — გაბზარული ფარაჯიტა.

ტელევიზია

17 სექტემბერი

პირველი პროგრამით

11.05 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან). 11.15 — მოსწავლეთათვის „ნეპტუნის“ კლუბის პრიზზე“ (გადმოცემა მოსკოვიდან). 11.40 — კინონარკვევი. 12.00 — მხატვრული ფილმი — „შორეულ თოვლთა ქვეყანა“. 13.30 — „მათთვის, ვინც ახლა ისვენებს“. 18.05 — ახალი ამბები. 18.10 — ბავშვებისათვის — კონცერტი. 18.45 — განცხადებები. 18.50 — „სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებანი ცხოვრებაში“. 19.10 — სცენები მუსიკალური სპექტაკლებიდან. 19.50 — „მოამბე“. — საინფორმაციო პროგრამა. 20.15 — „ხუთწლედი — მოჭიდებაში“ — „აწყურელთა სხტყვა და საქმე“. 20.35 — „შეხვედრა მწერალთან“ — ალალ კალაძე. 21.55 — „კანონიერების საკითხი“. 22.20 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. მოსტაკოვიჩის ბალეტი — „ქალიშვილი და ხულიგანი“. 23.40 — ფერადი ტელევიზია. ევროპის ჩემპიონატი კალათბურთში (ვაკეები) რეპორტაჟი გფრ-დან.

მეორე პროგრამით

19.00 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. „კინოდოკუმენტალისტის თვალით“. 20.00 — სკოლების დასახმარებლად — ისტორია (მსოფლიო ისტორიის ახალი პროგრამა და სახელმძღვანელო). 21.00 — განცხადებები. 21.05 — სტუდენტთა დასახმარებლად ლექცია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიაში. 22.10 — სტუდენტთა დასახმარებლად. ლექცია მასალათა გამძლეობაში.

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

18 სექტემბერი

პირველი პროგრამით

09.30 — დაუსწრებელი სწავლების სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია უმაღლეს მათემატიკაში. 11.00 — კინონარკვევი. 11.15 — ციკლიდან „ქალაქების მუსიკალური ტურნირი“. „მღერის რუსთავი“ (გადაცემა თბილისიდან ცენტრალური ტელევიზიისათვის). 12.00 — „ჯანმრთელობა“ — სამეცნიერო-შემეცნებითი პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან). 12.30 — „ქართული მხატვრული ფილმი „ნინო“. 13.55 — დაუსწრებელი სწავლების სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია ზოგად ფიზიკაში. 15.00 — „საესტრადო პანორამა“. 15.35 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის. 16.15 — ბულგარული სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ეშმაკის სამხრეთით“ (ქართულ ენაზე). 17.55 — სატელევიზიო ჟურნალი ბავშვებისათვის — „კოიონი“. 18.35 — ციკლიდან „სახელოვანი სპორტსმენები“ — ნინო დუმბაძე. 18.55 — დოკუმენტური კინო ბრალს ხდებს. „ათასი ფუთი ბრალდება“. 19.40 — კინონარკვევი. 19.55 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა. 20.20 — ციკლიდან „იდიდე მარად, ჩემო სამშობლოვ!“ — ყაზბეგის რაიონი. 21.35 — გადაცემა ციკლიდან „იმ დღეთა მოსაგონებლად“. 21.45 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა. 22.15 — მხატვრული ფილმი — „სახე“. 23.40 — ფერადი ტელევიზია. ევროპის ჩემპიონატი კალათბურთში (ვაკეები) მე-3 და მე-4 ადგილებისათვის) რეპორტაჟი გფრ-დან.

მეორე პროგრამით

19.00 — სკოლების დასახმარებლად — გადაცემები „ადამიანები ავტომატებს შორის“ და „ეროვნული რუკის ისტორია“. 20.00 — სკოლების დასახმარებლად — ფიზიკა. 21.00 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია პოლიტეკონომიაში. 22.05 — მხატვრული ფილმი — „გამანადგურებლები“.

რედაქტორი

დ. მეედლიშვილი.

კომუნისტი

880008 თბილისი-8, ლენინის 14, რედაქტორის მოადგილეების — 99-98-03, 99-03-09, პ/მგ მდივ ნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-34, ს